

პროექტი

საქართველოს კანონი

“სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, 2003 წელი, №26, მუხ. 190) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ საერთაშორისო სასამართლოს თხოვნით გადასაცემი პირი იმყოფება წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის გარეშე არ დაიშვება მისი არც განთავისუფლება და არც საქართველოდან გაყვანა. ასევე აუცილებელია უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა ასეთი პირისთვის პატიმრობის პირობების ყოველგვარი შემსუბუქების, მისი ნახვისა და მისი კორესპონდენციის კონტროლისთვის.“

2. 45-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდება საქართველოს პატიმრობის კოდექსის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი წესის შესაბამისად.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი
სააკაშვილი

მიხეილ

